კონფლიქტოლოგიის მეთოდოლოგიური სტრატეგია

თინათინ იაშვილი
სტუ–ს პროფესორი
E-mail: iashvili.tina@gmail.com

რეზიუმე

როგორც ცნობილია, ორგანიზაციაში კონფლიქტი გამოიხატება ადამიანებსა ან ჯგუფებს შორის განსხვავებული აზრებითა და ქმედებებით, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული ინტერესები ორგანიზაციის მიმართ.

კონფლიქტში დაინტერესებული მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ინდივიდები, ასევე ჯგუფები, რომლებსაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ ორგანიზაციის მიზანზე ან რომლებიც მათი მიზნის წარმატებულად მიღწევით არიან დაინტერესებულნი. ორგანიზაციაში სხვადასხვა მხარეს შეიძლება განსხვავებული ინტერესები ქონდეთ და მათ შეიძლება კონფლიქტებამდეც მიგვიყვანონ.

მოცემულ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ შიდა ორგანიზაციულ კონფლიქტებს. ეს კონფლიქტები ხდება შიდა დაინტერესებულ მხარეებს შორის, მაგალითად თანამშრომლებს შორის, ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს შორის, ან სხვადასხვა განყოფილებებს შორის.

შესავალი

კონფლიქტოლოგიის ობიექტია კონფლიქტები მისი გამოვლენის ყველა ფორმით. კონფლიქტოლოგიის ობიექტია თვითონ სოციალური ცხოვრებაც, რეალური კონფლიქტების უსასრულო მრავალფეროვნება, ბავშური კინკლაობდან დაწყებული მსოფლიო ომების ჩათვლით. [1]

ცნობილია, რომ კონფლიქტოლოგიის შესწავლის პროცესი ზოგიერთ სიძნელეს უკავშირდება, რამეთუ მეცნიერთა შორის არ არსებობს ერთსულოვნება კონფლიქტის ბუნების როგორც სოციალური მოვლენის შესახებ: ერთნი სთვლიან, რომ კონფლიქტი სოციალურ ცხოვრებაში ნორმაა, „უკონფლიქტო ცხოვრება ისეთივე აბსურდია როგორც მშრალი წყალი", კონფლიქტები არ არსებობს მხოლოდ სასაფლაოზე. „ცხოვრებაში არ არსებობს კონფლიქტი მაშინ უნდა გაისინჯო პულსი, ანუ ცოცხალი ხარ თუ არა; სხვა მეცნიერები სთვლიან, რომ კონფლიქტი საშიში დაავადებაა, რომ აუცილებელია მისი ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოშორება, და რომ მომავალში ჩვენ უკონფლიქტო საზოგადოება გველოდება.[2] მაგრამ მიუხედავად არსებული სხვადასხვა თეორიისა ჩვენ ვცხოვრობთ, ისეთ მსოფლიოში სადაც მრავლადაა კონფლიქტები და შესაბამისად აღიარებულია კონფლიქტების არსებობაც. კონფლიქტოლოგიის ამოცანებს როგორც თეორიული, ასევე წმინდა პრაქტიკული ხასიათიც აქვთ, რადგან კონფლიქტის არსის, მიზეზების, ეტაპების და მონაწილეების შესწავლის პარალელურად, მეცნიერებმა აუცილებლად უნდა განსაზღვრონ კონფლიქტური სიტუაციების რეგულირებისა და აღკვეთის მეთოდები და მიდგომები; კონფლიქტების ახალი ფორმების დადგენა და მათი ტიპოლოგია.

კონფლიქტოლოგიის ობიექტთან მჭიდრო კავშირშია მისი მეთოდიც. მასში იგულისხმება სინამდვილის პრაქტიკული და თეორიული აღქმის კონკრეტული წესები, ხერხები, ნორმები. შესაბამისად, ნებისმიერი მეცნიერების ობიექტი, თეორია და მეთოდი ურთიერთკავშირშია.

კონფლიქტური ურთიერთქმედება სოციალური ცხოვრების ერთერთი ფორმაა. ამიტომ მისი კვლევა კონფლიქტოლოგიისაგან სოციალური მეთოდოლოგიის შემუშავებას გულისხმობს, ანუ კვლევის ისეთ პროცედურებს, რომლებსაც კარნახობს ობიექტის სოციალურ-ფსიქოლოგიური ბუნება, მისი ობიექტის თავისებურება.

1–ნახაზზე წარმოდგენილია კონფლიქტოლოგიის მეთოდოლოგიური სტრატეგია.

ნახაზზე მითითებულ თითოეულ მეთოდს საკუთარი თავისებურება გააჩნია. სტრუქტურულ-ფუნქციონალური მეთოდი ეხმარება კონფლიქტური ურთიერთქმედების ძირითადი ელემენტების გამოვლენას, თითოეული ელემენტის როლის განსაზღვრას. სტრუქტურულ-ფუნქციონალური მეთოდის სუსტი ადგილი სოციალური მოვლენების სტატიური, არა პროცესუალური განხილვაა.

ამ მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეხმარება მდგრადი მდგენელების გამოვლენას ისეთ მოძრავ მოვლენაში, როგორიცაა სოციალური კონფლიქტი. ისეთი კომპონენტების ერთობლიობა, როგორიცაა კონფლიქტის ობიექტი, მის მონაწილეები, დაძაბულობის დონე და ა.შ., ქმნიან კონფლიქტის სტრუქტურას, და ამ ელემენტების მიერ შესრულებული როლი კონფლიქტში მათ ფუნქციას წარმოადგენს. კონფლიქტში სტრუქტურული ელემენტებისა და



ნახაზი 1. კონფლიქტოლოგიის მეთოდოლოგიური სტრატეგია

მათი ფუნქციების გამოვლენა კონფლიქტის მოგვარების მნიშვნელოვანი წინამძღვარია.

კონფლიქტის კვლევის პროცესუალურ-დინამიური მიდგომა– ამ სოციალური მოვლენის დინამიური, ცვალებადი ბუნების გათვალისწინებით, უნდა შეივსოს პროცესუალურ-დინამიური მეთოდით, რომელიც კონფლიქტის უფრო ღრმად შესწავლას ეხმარება. კონფლიქტის ძირითადი ეტაპებისა და სტადიების განსაზღვრა პროცესუალური ანალიზის მნიშვნელოვანი ელემენტია. მაგ. საპროტესტო მიტინგით დაწყებული კონფლიქტი შესაძლოა მასიურ დემონსტრაციაში გადაიზარდოს და შეიარაღებული შეტაკებით დამთავრდეს. კონფლიქტის დინამიკა შესაძლოა გამოიხატოს როგორც მისი ესკალაციით, ასევე დაძაბულების დონის შესუსტებით. [3]

ტიპოლოგიზაციის მეთოდი დამაკავშირებელ რგოლად გამოდის ემპირიული, კონკრეტულ-სოციოლოგიური და თეორიული დონეების კვლევაში, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადის მოძიებას განსაკუთრებულსა და ცალკეულში. ტიპოლოგიზაცია სოციალურ ფსიქოლოგიური ანალიზის კიდევ ერთი ეფექტური მეთოდია. ზოგადი და ცალკეული ფილოსოფიური კატეგორიებიდან გამომდინარე იგი უზრუნველყოფს როგორც კონფლიქტური პიროვნებების სახეების კლასიფიკაციას, ასევე კონფლიქტური ურთიერთქმედების ფორმებს. ტიპოლოგიზაცია აღწერას არა მარტო კონფლიქტების სხვადასხვა ტიპებს, არამედ სიღრმისეულად განმარტავს სოციალური წინააღმდეგობის მრავალფეროვანი ფორმით გამოვლენილ კონფლიქტებისათვის დამახასიათებელ მდგრად ნიშნებს. პირველი სამი მეთოდის დახმარებით კონფლიქტოლოგია ხსნის განმარტებით ამოცანებს.

პროგნოზირების მეთოდი უზრუნველყოფს კონფლიქტის შესაძლო განვითარებისა და მისი შედეგების წინასწარ განჭვრეტას. პროგნოზირება წინასწარ ღრმა სტრუქტურულ, გენეტიკურ და ტიპოლოგიურ ანალიზს ეფუძნება. მეცნიერული წინასწარჭვრეტა საზოგადოებრივი განვითარების ალბათური ხასიათის აღიარებისა და ამასთან დაკავშირებით კონფლიქტის განვითარებაში რიგი შესაძლო ალტერნატივების გათვალისწინების შედეგია. კონფლიქტის განვითარების შესაძლო ვარიანტების აღწერით, პროგნოზირების მიდგომა ამავდროულად აღწერს კონფლიქტის დარეგულირების ოპტიმალურ გზებსა და საშუალებებს. პროგნოზები თავის მხრივ მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პროგნოზებად იყოფიან. პროგნოზირება ეფექტურად იყენებს ექსპერტების შეფასებებს, მათემატიკურ მოდელირებას, და სხვა.

ყველა მითითებული მეთოდი, როგორც განმარტებითი, ისე პროგნოზული, ემსახურება კონფლიქტის როგორც კონფლიქტის აცილებას, ისე მის დარეგულირებას. თანამედროვე კონფლიქტოლოგიაში კონფლიქტების გადაწყვეტის მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობა კონფლიქტის გადამწყვეტ მეთოდად, დარეგულირების მეთოდად განიხილება, რომელიც უშუალოდ შესაბამის პრაქტიკას ეყრდნობა. ამ მეთოდის ჩარჩოებში განიხილებიან როგორც ძირ-

ითადი სტრატეგიები, ასევე კონფლიქტის დალაგების ტაქტიკაც. ასეთი სტრატეგიების რიცხვს განეკუთვნება კონფლიქტის თავიდან აცილების სტრატეგია, მისი ძალადობრივი ჩახშობა, ასევე დემოკრატიულ ქვეყნებში პოპულარული კომპრომისისა და ურთიერთდათმობის სტრატეგიები.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მეთოდების ერთობლიობა ქმნის სწორედ კონფლიქტების მეთოდოლოგიურ სტრატეგიას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Hüsch P. Konfliktmanagement . 2002.
2. Schwartz G. Konfliktmanagement.2005.
3. Pichler S. Konflikte am Arbeitsplatz erfolgreich bewältigen.2010.

METHODOLOGICAL STRATEGY OF CONFLICTOLOGY

TINATIN IASHVILI
professor of GTU
E-mail: iashvili.tina@gmail.com

Summary

Tasks of conflictology have as a theoretical as a practical character. Scientists study the essence of the conflict, causes, participants and stages, in parallel, they will need to determine the regulation of conflict situations and the prevention methods and approaches; To establish new forms of conflict and their typology.

Conflictology objects are closely related to their methods. It means specific rules, methods and norms of the authenticate practical and theoretical understanding. Any object of science, theory and method are inter-relationships.

Conflic interaction is one of the form of social life. So its research means to develop the social methodology from conflictology;To develop such procedures of research, that are prompted by social and psychological nature of the object and the features of its object.

Our work discusses the methods, which combination creates methodological strategies of conflict**.**

МЕТОДОЛОГИЧЕСКАЯ СТРАТЕГИЯ КОНФЛИКТОЛОГИИ

ТИНАТИН ИАШВИЛИ
Профессор ГТУ
E-mail: iashvili.tina@gmail.com

Резюме

Задачи конфликтологии носят не только теоретический, но и чисто практический характер, так как помимо выявления сущности конфликтов, их причин, этапов и участников учёным необходимо на основе этого изучения определение методов и способов регулирования и предотвращения конфликтов; установление новых форм конфликтов и их типология.

С объектом конфликтологии тесно связаны и её методы, под которым понимается совокупность определённых правил, приёмов, норм практического и теоритического освоения действительности. Взаимосвязаны объкт, теория и метод любой науки.

Конфликтное взаимодействие является одной из форм социальной жизни. Таким образом исследование конфликта требует от конфликтологии выработывания социальной методологии, т.е. таких процедур исследования, которые диктует социально- психологическая природа объекта и особенности объекта.

В данной работе рассмотрены методы, совокупность которых создаёт методологическую стратегию конфликтов.